რეკომენდაციები სადიალიზო ცენტრებისათვის კორონავირუსისა და სხვა ინფექციების თავიდან ასაცილებლად

- დიალიზის ექიმების, ექთნების და ტექნიკური პერსონალისაგან შემდგარი სამედიცინო გუნდი უნდა გადიოდეს ტრეინინგს COVID-19-ის ეპიდემიის განახლებულ ცოდნასთან , რისკის მქონე ინფექციის შეტყობინებასთან, ეპიდემიოლოგიური პრევენციული ბერკეტების და მთავრობის, აკადემიური ასოციაციებისა და კლინიკის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულ გაიდლაინებთან დაკავშირებით.
- დიალიზის კლინიკებში უნდა წარმოებდეს პერსონალის აღრიცხვა
- უნდა ხდებოდეს თითოეული მედპერსონალის, დიალიზის პაციენტის, მათი ოჯახის წევრის, თანამობინადრის და თანამშრომლის მოგზაურობის , სამსახურის, კონტაქტების, კლასტერების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და განახლება
- უნდა ხდებოდეს მოვლისა და ეპიდემიის შესახებ უახლესი რეკომენდაციებისა და ინფორმაციის განახლება და სრულყოფილი მიწოდება მედპერსონალისათვის. ტრეინინგი შესაძლებელია ჩატარდეს როგორც დაწესებულების შიდა ქსელის მეშვეობთ, ასევე ონლაინ
- ჯგუფური აქტივებობი, როგორებიცაა ჯგუფური შემოვლა, ჯგუფური სწავლებები და შემთხვევის განხილვები მინიმუმამდე უნდა იქნდეს დაყვანილი
- რეკომენდებულია სამედიცინო გუნდის თითოეულმა წევრმა იკვებოს განსხვავებულ დროს, რათა თავიდან ავიცილოთ ერთობლივი კვება. კვებამდე უნდა მოხდეს დამცავი სათვალის, ნიღბის, ქუდის მოხსნა და ხელების დაბანა გამდინარე წყლით. რეკომენდებულია კვების დროს საუბრისაგან თავის შეკავება წვეთების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით

- მედპერსონალმა უნდა მოახდინოს სიმპტომების თვითმონიტორინგი და მათთან ან მათი ოჯახის წევრებთან COVID-19 -ის ინფექციის სიმპტომების განვითარების შემთხვევაში შეატყობინოს გუნდის ლიდერს.
- დიალიზის პაციენტმა დაუყოვნებლივ უნდა დაურეკოს თავისი სადიალიზო ცენტრის ექიმს, თუ აწუხებს ხველა, ტემპერატურის მატება, ყელის ტკივილი, სურდო, სუნთქვის გაძნელება ან იმოგზაურა საქართველოს ფარგლებს გარეთ ან კონტაქტი ჰქონდა რეპირატორული სიმპტომების მქონე ადამიანთან. სატელეფონო საუბრის შემდეგ ექიმი გადაწყვეტს კვლევების ტაქტიკას და ასევე სად ჩატარდეს კვლევა.

- უნდა დაინერგოს სადიალიზო სივრცეში შესვლის კონტროლი, რისკის მქონე ადამინების იდენტიფიცირება და იზოლირება , სხეულის ტემპერატურის გაზომვა, ხელის დაბანა, შესაფერისი ნიღბის გაკეთება/ტარება (ქირურგიული ან N95) პროცესის განმავლობაში, აპარატის დეზინფექცია, გარემოს სისუსფთავე, კარგი ჰაერის კონდიცირება და ვენტილაცია

  - პაციენტი არ უნდა მოვიდეს დიალიზის სეანსამდე დიდი ხნით ადრე, უნდა მოვიდეს სეანსის დაწყებამდე 10-15წუთით ადრე, სადიალიზო ცენტრის მიერ მიწოდებულ ფიქსირებულ დროს.

  - კლინიკაში მოსვლის შემდეგ პაციენტმა რეკომენდებულია დაიცვას დისტანცია (არანაკლებ 1.5 მ), პაციენტები უნდა განაწილდნენ მოსაცდელ სივრცეში და რიგის მიხედვით აუჩქარებლად და სათანადო დისტანციის დაცვით გაემართონ მათთვის განკუთვნილ სადიალიზო ადგილამდე

  - კლინიკაში შესვლისას სადიალიზო სივრცეში შესვლამდე უნდა ჩატარდეს დიალიზის პაციენტის თერმოკონტროლი.
  - სადიალიზო სივრცეში შესვლამდე პაციენტმა უნდა გამოიცვალოს ფეხსაცმელი ან ჩაიცვას ბახილები, დატოვოს ქურთუკი და ჩანთა კარადაში, დაიბანოს ხელები საპნითა და წყლით 20 წამის განმავლობაში და შემდეგ დაიმუშავოს სადეზინფექციო ხსნარით.

- დიალიზის მსვლელობისას პაციენტს უნდა ეკეთოს პირბადე, რეკომენდებულია სეანსის დროს არ მიიღოს საკვები, შაქრის ციფრების ვარდნის აცილების მიზნით სასურველია იქონიოს კანფეტი.

- დიალიზის სეანსზე პაციენტს არ უნდა ეკეთოს საათი, სამაჯური, ბეჭდი.

თითოეული ცვლის დასრულების შემდეგ სადიალიზო სივრცე

1. უნდა განიავდეს
2. ჩატარდეს დეზინფექცია და მყარი ზედაპირების დამუშავება სველი წესით.

ახალი ცვლის პაციენტების მიღება მოხდება მხოლოდ ზემოხსენებული პროცედურების დასრულების შემდეგ!

- პაციენტმა თავი უნდა აარიდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას; თუმცა ასეთის შემთხვევაში მას უნდა ეკეთოს პირბადე, უნდა მოერიდოს ხელების დაბინძურებას, თან ატაროს და ხშირად გამოიყენოს ალკოჰოლის შემცველი სველი ხელსახოცი/სადეზინფექციო ხსნარი.
- პაციენტის ტრანსპორტირების/გადაყვანის უზრუნველმყოფ პირს და თანმხლებ პირს უნდა ეკეთოს პირბადე, (ქირურგიული ან N95)

- პაციენტი უნდა მოერიდოს კონტაქტს პირებთან, რომლებსაც აქვთ სურდო ან გრიპისმაგვარი სხვა სიმპტომები.

- **დიალიზის პაციენტების მომვლელები/თანმხლები პირები სადიალიზო სივრცეში არ დაიშვებიან, გამონაკლის შემთხვევაში (მოძრაობას ან მხედველობას უნარმოკლებული პაციენტების მომვლელები/თანმხლები პირები)** შესვლამდე უნდა დატოვონ ქურთუკი კარადაში, გაიკეთონ ნიღაბი, ჩაიცვან ბახილები, დაიბანონ ხელი საპნითა და წყლით 20 წამის განმავლობაში, დაიმუშავონ სადეზინფექციო ხსნარით.

- დიალიზის პაციენტის ოჯახის წევრები, მომვლელები და თანმხლები პირები უნდა იღებდნენ კორონავირუსით დასნებოვნების პროფილაქტიკის ზომებს, უნდა იზომავდნენ ტემპერატურას რეგულარულად, რათა არ მოხდეს დიალიზის პაციენტზე დაავადების გადატანა. ასევე უნდა იცავდნენ ჰიგიენას, იბანდნენ ხელებს ხშირად და

დაუყოვნებლივ შეატყობინონ მედპერსონალს კონტაქტში მყოფი პირების ავად გახდომის შესახებ.

- თუ დიალიზის პაციენტის ოჯახის წევრი ან მომვლელი არის ზოგად კარანტინში, მას შეუძლია დიალიზის სეანსის ჩატარება ჩვეულებისამებრ 14 დღის განმავლობაში
- თუ დიალიზის პაციენტის ოჯახის წევრთან ან მომვლელთან დადასტურდა ახალი კორონავურუსის ინფექცია, პაციენტის პერსონალური მონაცემები უნდა განახლდეს და დიალიზის ცენტრი დაუკავშირდეს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

- პაციენტებმა უნდა ჩაიტარონ დიალიზის სეანსები ერთი და იგივე სადიალიზო ცენტრში, ასევე თავი უნდა იქნას შეკავებული ცვლების გადაცვლისაგან , რათა მოხდეს ჯვარედინი კონტამინაციისა და ინფექციის თავიდან აცილება.

- სისხლძარღვოვანი მიდგომის ოპერაციის შემთხვევაში, უნდა მოხდეს კორონავირუსზე პაციენტის სკრინინგი ქირურგიული ჩარევის წინ. ქირურგიული ჩარევა ახალი კორონავირუსის ინფექციის საეჭვო ან დადსტურებულ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ასეთი შემთხვევებისთვის განკუთვნილ საოპერაციოში მედპორსანლის დამცავი საშუალებების არსებობის პირობებში

- უნდა მოხდეს ყველა იმ პაციენტის სკრინიგი ახალი კორონავირუსის ინფექციაზე, ვისაც აქვს სიცხე და დიალიზის სეანსი უნდა ჩაუტარდეთ ბოლო ცვლაში, სანამ არ გამოირიცხება ინფექცია

- კლინიკაში და სადილიზო სივრცეში შესვლის მარშრუტი/გზა: შესვლისა და გამოსვლის ადგილები არ უნდა იყოს საზიარო სხვა დიალიზის პაციენტებთან; თავიდან უნდა იქნას აცილებული სხვა პაციენტებთან ერთად კლინიკაში შესვლა და კლინიკიდან; დიალიზის მედპერსონალის ტრანსპორტის მარშრუტი, სახეობა და დრო უნდა იყოს ფიქსირებული.

- პაციენტებს შორის დისტანცია უნდა იყოს დაცული; სამკურნალო და მოსაცდელ სივრცეებში უნდა იყოს კარგი კონდიცირება და ვენტილაცია

- ინფიცირებულთა მოვლაზე უფლებამოსილი მედპერსონალი: სამედიცინო პერსონალს, რომელიც ჩართულია პაციენტის უშუალო მოვლაში, უნდა იყოს სრულყოფილად დაცული

გრძელმკლავიანი წყალგამძლე საიზოლაციო სამედიცინო ფორმით, სამედიცინო ქუდით, დამცავი სათვალით, ხელთათმანითა და სამედიცინო პირბადით (ხარისხი იხ. ზემოთ). ხელის ჰიგიენა მკაცრად უნდა იქნას დანერგილი

- დიალიზის აპარატი: მანქანას, რომელიც შესაძლებელია პირდაპირ კონტაქტში ოყოს პაციენტთან ან პოტენციურად კონტამინირებულ/დაბინძურებულ მასალასთან უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია სტანდარტული პროტოკლის მიხედვით.

- თუ სადიალიზო ცენტრში მოხდა ახალი კორონავირუსის ინფექციის დადასტურებული ან დიდი ალბათობით საეჭვო შემთხვევის იდენტიფიცირება, უნდა ჩატარდეს დაუყოვნებელი დეზინფექცია. დაინფიცირებული სივრცე არ უნდა იქნას გამოყენებული სხვა პაციენტებისათვს დეზინფექციის ჩატარებამდე. სადიალიზო ცენტრი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

- სამედიცინო ნარჩენები ახალი კორონავირსის ინფექციის დადასტურებულ ან საეჭვო შემთხვევებში , უნდა ჩაითვალოს , როგორც კონტაგიოზური/ინფექციური და განადგურდეს შესაბამისი წესების დაცვით

- სადიალიზო ცენტრის მედპერსონალის მიერ პაციენტებს და მათ მომვლელებს უნდა მიეცეთ რეკომენდაციები ახალი კორონავირუსის ინფექციის გავრცელების თავიდან აცილებასთან დაკავშირებით იხ. [http://dntunion.ge/ka/file/download/24] - **რეკომენდაციები დიალიზზე მყოფი პაციენტისებისა და მათი მომვლელებისათვის/თანმხლები პირებისთვის კორონავირუსისა და სხვა ინფექციების თავიდან ასაცილებლად**

რეკომენდაციის წყაროები:

- *NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი*
- *ISN ნეფროლოგიის საერთაშორისო საზოგადოება*
- *ERA EDTA ევროპის თირკმლის ასოციაცია - ევროპის დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის ასოციაცია*

- *DNT UNION საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირი*